აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრის

ტიტე აროშიძის

საქმიანობის ანგარიში

(01.01.2023-31.12.2023)

სარჩევი

1. ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის შესახებ 2
1.1. საქმიანობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლეს საბჭოში 2
2. თანამდებობრივი და კანონშემოქმედებითი საქმიანობა 2
3. საზედამხედველო საქმიანობა 4
4. თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო 6
4.1. მიღებული წერილები და განცხადებები. 6
5. ადგილობრივი ხელისუფლების და ბათუმის მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართულობა 8
6. ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა 11
7. მოსახლეობასთან ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და ინფორმირება 12
8. ახალგაზრდებთან კომუნიკაცია 12
9. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობა 14
10. საერთაშორისო ურთიერთობები 16
11. სოციალური ქსელი 17

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო
ტელ: +995(0) 32 228 54 82

1. ზოგადი ინფორმაცია საქმიანობის შესახებ

საქმიანობის ანგარიში შედგენილია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის დ[1] ქვეპუნქტის შესაბამისად და მოიცავს ინფორმაციას გაწეული საქმიანობის შესახებ მისთვის მინიჭებული კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებამოსილების ფარგლებში, რომლის მეშვეობითაც უზრუნველყოფილია განხორციელებული აქტივობების შესახებ დაინტერესებული პირების ინფორმირება.

1.1 საქმიანობა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოში:

- ბათუმის მაჟორიტარი წევრი;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
- ხაზინადართა საბჭოს თავმჯდომარე;
- საფინანსო საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტის წევრი;
- აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტის წევრი;
- ღია მმართველობის საბჭოს წევრი;
- ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრი.

2. თანამდებობრივი და კანონშემოქმედებითი საქმიანობა

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მიიღო:

- ✓ 10 პლენარული სხდომა ;
- ✓ 18 ბიურის სხდომა;
- ✓ 1 ღია მმართველობის საბჭოს სხდომა;
- ✓ 20 კომიტეტის სხდომა.

პლენარულ სხდომებზე განხილულ იქნა 14 საკითხი, საკომიტეტო ფორმატში 33 საკითხი.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო
ტელ: +995(0) 32 228 54 82

ხაზინადართა საბჭო

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის სათათბირო ორგანოს ხაზინადართა საბჭო ახორციელებს უმაღლესი საბჭოს საფინანსო საქმიანობის კონტროლს“.

საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა ხაზინადართა საბჭოს 2 სხდომა.

ჩართულობა კანონშემოქმედებით საქმიანობაში:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (09-01-08/42, 23.02.2023წ);
- საკანონმდებლო პაკეტი (09-01-08/45, 23.03.2023 წ.);
  - ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;
  - ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (09-01-08/44, 27.02.2023წ.);
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“ (09-01-08/46, 11.04.2023წ.);
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ნორმატიული აქტების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (09-01-08/43, 23.02.2023წ.);
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საბიუჯეტო პროცესისა და უფლებამოსილების შესახებ“ (09-02-08/34, 26.09.2022წ.);
- საკანონმდებლო პაკეტი (09-01-08/54, 26.10.2023 წ.);
  - ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტში ცვლილების შეტანის შესახებ“;
  - ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს არჩევნების შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თობაზე“
- საკანონმდებლო პაკეტი (09-01-08/55, 26.10.2023 წ.);
  - ა) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „ავტონომიური რესპუბლიკის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და მათი მართვის შესახებ“;
  - ბ) აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დადგენილების პროექტი - „საქართველოს კონსტიტუციის 45-ე მუხლის შესაბამისად, საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს კანონის პროექტის „საავტომობილო გზების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს პარლამენტში წარდგენის შესახებ“.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო
ტელ: +995(0) 32 228 54 82

3. საზედამხედველო საქმიანობა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პლენარულ სხდომებზე, მინისტრის საათის ფორმატში, მოსმენილ იქნა საქმიანობის შესახებ შემდეგი ანგარიშები:

- ✓ 16 მარტი 2023 წელი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოხსენება სამინისტროს საქმიანობის შესახებ;
- ✓ 20 აპრილი, 2023 წელი -აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის მოხსენება სამინისტროს საქმიანობის შესახებ;
- ✓ 18 მაისი, 2023 წელი - აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის წევრის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოხსენება სამინისტროს საქმიანობის შესახებ;

- ✓ 05 ივნისი, 2023 წელი - აჭარის ავტონომირი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის ანგარიში აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქმიანობის შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის რესპუბლიკური ბიუჯეტის მოსმენა/განხილვა:

- ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე;
- ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე (09-01-08/57, 21.11.2023წ.);
- ✓ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“.

საკომიტეტო საქმიანობის ფარგლებში ანგარიშვალდებული ორგანოების მიერ წარმოდგენილი საქმიანობის ანგარიშების მოსმენა/განხილვა:

საფინანსო საბიუჯეტო და ეკონომიკურ საკითხთა კომიტეტი:

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიში;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვა;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესრულების ანგარიში;

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულების-ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტის 2022 წლის საქმიანობის ანგარიში და ინფორმაცია მიმდინარე წელს აჭარაში ტურისტული სეზონის მზადებასთან დაკავშირებით;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების მიმოხილვა;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტი შესახებ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის სამი კვარტლის შესრულების მიმოხილვა;
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტის შესახებ;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ და ბიუჯეტის შესაბამისი ავტნომიური რესპუბლიკის პრიორიტეტების დოკუმენტის განხილვა;
- ა(ა)იპ ‘ბათუმის ბიზნეს ინკუბატორის“ 2022 წლის და 2023 წლის 10 თვის საქმიანობის თაობაზე ინფორმაციის განხილვა.
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება საავტომობილო გზების დეპარტამენტის ინფორმაციის მოსმენა „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა“ პროგრამის ფარგლებში შესრულებული პროექტების შესახებ. (01.01.2022-22.12.2023წწ).

აგრარულ და გარემოს დაცვის საკითხთა კომიტეტი

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სამინისტროებისა და უწყებების ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების შესახებ ინფორმაციის დოკუმენტის განხილვა;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2023 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის ორი კვარტლის შესრულების მიმოხილვა;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ „ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის“ გაწეული და მიმდინარე საქმიანობის შესახებ ინფორმაციის მოსმენა.
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2023 წელს გაწეული საქმიანობის და მიმდინარე სამუშაოების შესახებ ინფორმაციის მოსმენა;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონის პროექტი „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2024-2027 წლების პრიორიტეტები (09-01-08/56, 31.10.2023წ);
- სოფლის მეურნეობის სამინისტროს ა(ა)იპ „აგროსერვის ცენტრის“ ინფორმაციის მოსმენა სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამების მიმდინარეობისა და შესრულების შესახებ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო
ტელ: +995(0) 32 228 54 82

4. თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო წარმოადგენს:

- უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილისათვის უფლებამოსილების განხორციელებაში ხელის შეწყობა დარგობრივი/სექტორული რჩევების მიცემით, ინტელექტუალურ-ტექნიკური დახმარების გაწევითა და ორგანიზაციულ-მენეჯერული ფუნქციების შესრულებით;
- უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის თათბირების, შეხვედრებისა და მიღებების (მათ შორის მოქალაქეთა მიღების) ორგანიზება;
- უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სახელზე შემოსულ კორესპონდენციებზე პასუხების მომზადება.
- მაჟორიტარი დეპუტატის 2 წარმომადგენელი მოქალაქეებთან მუშაობის ორგანიზების, შესაბამის საჯარო დაწესებულების კომუნიკაციისა და უფლებამოსილების ფარგლებში ადგილობრივი საკითხების გადაწყვეტაში მონაწილეობის მიზნით ახორციელებს მათზე დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს.

4.1 მიღებული წერილები და განცხადებები. მათზე განხორციელებული რეაგირება;

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს ფრქაცია კომიტეტებიდან,აპარატის სტრუქტურული ერთეულებიდან და თანაშრომლებიდან შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა და მათზე განხორციელებული რეაგირება	
თავმჯდომარის მოადგილე და მოადგილის სამდივნო	85 კორესპონდენცია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოსში შემოსული კორესპონდენციის რაოდენობა	
თავმჯდომარის მოადგილე და მოადგილის სამდივნო	108 კორესპონდენცია
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოში შემოსული მოქალაქეთა განცხადებების და მათზე განხორციელებული რეაგირების რაოდენობა	
თავმჯდომარის მოადგილე და მოადგილის სამდივნო	73 კორესპონდენცია



ინფორმაცია მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირების თაობაზე

თავმჯდომარის მოადგილის მიერ მიღებულ იქნა 193 მოქალაქე, რაზეც კომპეტენციის ფარგლებში განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.



5. ადგილობრივი ხელისუფლების და ბათუმის მუნიციპალიტეტის საქმიანობაში ჩართულობა

განხორციელებული აქტივობები:

- ✓ სამუშაო შეხვედრები;
- ✓ სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების შეფასება/დათვალიერება.
- ✓ შეხვედრა მოსახლეობასთან.

11 თებერვალი 2023 წ.

- "საზღვაო სფეროში დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის შემაჯამებელი შედეგების ღონისძიებას დასწრო. სსიპ "აჭარის დასაქმების სააგენტოს მიზნობრივი ქვეპროგრამა, რომელიც მოკლევადიან სასწავლო კურსს მოიცავდა, ევროკავშირი საქართველოსთვის პროექტის - "ისწავლე დასაქმებისთვის" მხარდაჭერით შეიქმნა და ბათუმის ნავიგაციის უნივერსიტეტში განხორციელდა.

28 აპრილი 2023 წ.

- ქალაქ ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარესთან - რამაზ ჯინჭარაძესთან ერთად გამართა შეხვედრა აეროპორტის ადმინისტრაციული ერთეულის, შარაშიძის პირველი ჩიხის მაცხოვრებლებთან.

25 მაისი 2023 წ.

- შეხვედრა კახაბრის მე-3 ჩიხის მოსახლეობასთან.

10 აგვისტო 2023 წ.

- ქალაქ ბათუმის მერთან - არჩილ ჩიქოვანთან და პარლამენტის წევრთან - რესან კონცელიძესთან ერთად, სამრეწველო ზონის მიმდებარედ, მთავარი და მეორეხარისხოვანი გზების მშენებლობა-მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობას გაეცნო.

21 აგვისტო 2023წ.

- ქალაქ ბათუმის მერთან - არჩილ ჩიქოვანთან, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარესთან - რამაზ ჯინჭარაძესთან და საქართველოს პარლამენტის წევრთან - რესან კონცელიძესთან ერთად შეხვედრა გამართა სამრეწველო ადმინისტრაციულ ერთეულში სამების პირველი ჩიხის მაცხოვრებლებთან.

05 ოქტომბერი 2023 წ.

- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სამინისტროს მასპინძლობით გამართულ აგრარულ ფორუმს „აჭარის აგრარული შესაძლებლობები“ დაესწრო. ფორუმში მონაწილეობას ღებულობდნენ სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედი 50-ზე მეტი კომპანია, ასევე დარგობრივი ასოციაციები და საოჯახო ფერმერული მეურნეობები. ფორუმი მიზნად ისახავს, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის სექტორის საექსპორტო პოტენციალის წარმოჩენას, რეგიონის წამყვანი აგრარული, სოფლად მეწარმეობისა და სოფლად ტურიზმის განვითარების შესაძლებლობების მიმართულებით არსებული ტენდენციების შესახებ ცნობადობის ამაღლებას.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო
ტელ: +995(0) 32 228 54 82

26 აპრილი 2023 წ.

- „დასაქმების ფორუმი 2023-ის" ფარგლებში გამართულ საინფორმაციო ღონისძიებას დასწრო. საინფორმაციო შეხვედრა შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის გამოწვევებსა და რეგიონულ ჭრილში ანალიზის საკითხებს დაეთმო.

4 მაისი 2023 წ.

- ქალაქის ბათუმის მერთან - არჩილ ჩიქოვანთან ერთად, 127 -ე საბავშვო ბაღის მიმდინარე მშენებლობის პროცესს გაეცნო.

17 მაისი 2023წ.

- „ბათუმში, თანამედროვე სტანდარტების, 1000 მოსწავლეზე გათვლილი, თანამედროვე სტანდარტების ახალი სკოლის მშენებლობის საზეიმო ღონისძიებას დაესწარო.

14 ივლისი 2023 წ.

- ბათუმში, გორგილაძის ქუჩაზე სკვერის სარეაბილიტაციო სამუშაოების დასკვნით ნაწილს გაეცნო.

29 ივლისი 2023წ.

- ქალაქ ბათუმის მერთან - არჩილ ჩიქოვანთან და პარლამენტის წევრთან - რესან კონცელიძესთან ერთად, ბაგრატიონის ქუჩაზე ახალი საბავშვო ბაღის დასრულების სამუშაოებს გაეცნო.

14 აგვისტო 2023წ.

- აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან - თორნიკე რიჟვაძესთან, ქალაქ ბათუმის მერთან - არჩილ ჩიქოვანთან და პარლამენტის წევრთან - რესან კონცელიძესთან ერთად, ბათუმში მიმდინარე ინფრასტრუქტურულ სამუშაოებს გაეცნო.

24 აგვისტო 2023 წ.

- ქალაქ ბათუმის მერთან - არჩილ ჩიქოვანთან ერთად ქათამაძის ქუჩაზე ახალი საბავშვო ბაღის დასრულების სამუშაოებს გაეცნო.

18 სექტემბერი 2023 წ.

- აჭარის მთავრობის თავმჯდომარესთან - თორნიკე რიჟვაძესთან, ბათუმის მერთან - არჩილ ჩიქოვანთან, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარესთან - რამაზ ჯინჭარაძესთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრებთან ერთად ბაგრატიონის, ქათამაძისა და დაბა ჩაქვში, ჭავჭავაძის ქუჩებზე ახალი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად ბაღების დასრულების სამუშაოებს გაეცნო.

25 სექტემბერი 2023წ.

- ქალაქ ბათუმის მერთან - არჩილ ჩიქოვანთან, ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარესთან - რამაზ ჯინჭარაძესთან, საქართველოს პარლამენტის წევრთან - რესან კონცელიძესთან და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრთან - გიორგი მანველიძესთან ერთად მირიან მეფის ქუჩაზე სკვერის მოწყობის სამუშაოებს გაეცნო.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო
ტელ: +995(0) 32 228 54 82

24 ოქტომბერი 2023 წ. ·

- ხახულის ქუჩისა და ოშკის პირველი შესახვევის დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.

8 ნოემბერი 2023წ.

- ქალაქ ბათუმის მერთან - არჩილ ჩიქოვანთან და ბათუმის საკრებულოს თავმჯდომარესთან - რამაზ ჯინჭარაძესთან ერთად ნიჟარაძის ქუჩის მაცხოვრებლებს შეხვდა.

02 დეკემბერი 2023 წ.

- გიორგი ლეონიძის ქუჩის სარეაბილიტაციო სამუშაოებს გაეცნო.

10 დეკემბერი 2023 წ.

- აჭარის საავტომობილო გზების დეპარტამენტის 2023 წლის საქმიანობის ანგარიშის წარდგენას დაესწრო.

20 დეკემბერი 2023 წ.

- აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2023 წლის ანგარიშის წარდგენას დაესწრო.

20 დეკემბერი 2023 წ.

- ბათუმის მერთან - არჩილ ჩიქოვანთან ერთად სამების პირველ ჩიხში მიმდინარე სამუშაოებს გაეცნო.

21 დეკემბერი 2023 წ.

- აჭარის ხელოვნების მუზეუმში გამართულ სტუდენტთა დახმარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულ წარჩინებულ 76 სტუდენტთან შეხვედრა/დაჯილდოების ცერემონიაში მიიღო მონაწილეობა.

21 დეკემბერი 2023 წ.

- ბათუმის მერიის ორგანიზებით წლის სპორტსმენების დაჯილდოების საზეიმო ცერემონიას დაესწრო.

22 დეკემბერი 2023 წ.

- აჭარის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს 2023 წლის ანგარიშის წარდგენას დაესწრო.

6. ცენტრალურ ხელისუფლებასთან თანამშრომლობა

11 თებერვალი 2023 წ.

- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრთან მიხეილ ჩხენკელთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან თორნიკე რიჟვაძესთან და აჭარის ა/რ განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრთან მაია ხაჯიშვილთან ერთად კოლეჯ „ბლექსის" ახალი სასწავლო კორპუსის მშენებლობასთან დაკავშირებით მიძღვნილ ღონისძიებას დაესწრო.

19 მაისი 2023 წ.

- საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრთან - დავით ქარსელაძესთან, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარესთან - თორნიკე რიჟვაძესთან და ქალაქ ბათუმის მერთან - არჩილ ჩიქოვანთან ერთად, „პრემიერ-მინისტრის მიერ ინიცირებული პროგრამის „განახლებული რეგიონები" ფარგლებში, მიმდინარე პროექტის „გმირთა ხეივნის" სარეაბილიტაციო სამუშაოები დაათვალიერა.

23 ივნისი 2023წ.

- საპატიო სტუმრის სტატუსით, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის გახსნის საზეიმო ღონისძიებას დაესწრო.
  "ევროინტეგრაცია და სურსათის უვნებლობის გამოწვევები" - ამ სახელწოდების კონფერენცია აჭარის სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ ლაბორატორიული კვლევითი ცენტრის ორგანიზებით გაიხსნა. მასში სხვადასხვა ქვეყნის 21 ორგანიზაციის, სურსათის ეროვნული სააგენტოსა და შემოსავლების სამსახურის წარმომადგენლები მონაწილეობენ. კონფერენციაზე განიხილება ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმების იმპლემენტაციის გამოწვევები საქართველოში, სურსათის, სასმელი წყლის უვნებლობის ძირითადი ინდიკატორები, კვლევის მეთოდები და აღმოფხვრის გზები, ასევე მცენარეთა მავნე ორგანიზმების დიაგნოსტიკა და სხვა.

07 ივლისი 2023წ.

- ტურიზმის რეფორმის საკითხებზე გამართულ შეხვედრას დაესწრო. ღონისძიებაზე ტურიზმის კანონში დაგეგმილი ცვლილებები, რეფორმის პროგრესის, ტურიზმის ადგილობრივი მოსაკრებლის რეგულირების ზეგავლენის შეფასების შედეგები განიხილეს.

7. მოსახლეობასთან ჩართულობა, ანგარიშვალდებულება და ინფორმირება

საანგარიშო პერიოდში, ქალაქ ბათუმის სამაჟორიტარო ოლქის სხვადასხვა მისამართებზე, პერიოდულად ხორციელდებოდა როგორც ადგილობრივი ხელისუფლების და ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შესრულებული სარეაბილიტაციო და სამშენებლო სამუშაოების გაცნობა/დათვალიერება, ასევე მოსახლეობასთან შეხვედრა. მოსმენილ იქნა მათთვის მიმდინარე აქტუალური საკითხები და დასახულ იქნა მოგვარების გზები. ამასთანავე განხორციელდა მოსახლეობის ინფორმირება ქალაქში განსახორციელებელი პროექტების და არსებული პროგრამების შესახებ.



8. ახალგაზრდებთან კომუნიკაცია

3 მაისი 2023 წ.

- ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში (ბსუ), ტოტალური სამოქალაქო თავდაცვის გაძლიერებასთან დაკავშირებულ შეხვედრას დაესწრო. ღონისძიებაზე, რომელიც ტოტალური სამოქალაქო თავდაცვის გაძლიერების საკითხებს დაეთმო, ბსუ-სა და მოხალისეთა ორგანიზაცია - "ვემსახურები საქართველოს" შორისურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმი უნივერსიტეტში დასაქმებულებისა და სტუდენტების თავდაცვითი მიმართულებით სწავლებებში ჩართვას ითვალისწინებს.

18 მაისი 2023 წ.

- „დეპუტატის საათის“ ფორმატში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ და სოციალური მეცნიერებათა ფაკულტეტის პირველი კურსის სტუდენტებს შეხვდა. ახალგაზრდებს ინფორმაცია მიაწოდა საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ინსტიტუციური მოწყობის, მმართველობის ფორმების, საკანონმდებლო და აღმასრულებელ ხელისუფლებას შორის ბალანსირებულ ურთიერთობებსა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე. უპასუხა შეხვედრის მონაწილეთა შეკითხვებს. საკითხები, რომლებზეც განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა, მნიშვნელოვანია მომავალი იურისტების შემდგომი საქმიანობისათვის.

31 მაისი 2023 წ.

- „დეპუტატის საათის“ ფორმატში, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესისა და ეკონომიკის ფაკულტეტის სტუდენტებთან შეხვედრა გამართა. სადაც ქვეყნისა და რეგიონის მასშტაბით ბიუჯეტის ფორმირების, საბიუჯეტო მოწყობისა და პროცედურების შესახებ ისაუბრა. შეხვედრაზე ყურადღება გამახვილდა აჭარის საკანონმდებლო ორგანოში ამ მიმართულებით მიმდინარე პროცესებზე, ასევე საკანონმდებლო საქმიანობაში მოქალაქეთა ჩართულობის ხელშემწყობ სერვისებსა და სიახლეებზე. კერძოდ, ახალ ვებპლატფორმა - chaerte.sca.ge-ზე.

10 სექტემბერი 2023 წ.

- ბათუმში გამართულ ახალგაზრდულ კონგრესს დაესწრო. კონგრესის მიზანი ახალგაზრდობის თემატიკაზე მომუშავე ორგანიზაციების, მათი წარმომადგენლების ერთ სამუშაო სივრცეში გაერთიანება, ინფორმაციის გენერირება და დაინტერესებული პირებისათვის გაცნობაა. ღონისძიების ფარგლებში, სახელმწიფოს ახალგაზრდული სტრატეგია 2023-2026, ასევე არსებული გამოწვევები, მიმდინარე პროცესები, სამომავლო გეგმები იქნა განხილული. სსიპ ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრის მიერ ორგანიზებულ კონგრესს აჭარის ექვსივე მუნიციპალიტეტის 400-მდე ახალგაზრდა, საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წარმომადგენლები, პარტნიორი ორგანიზაციები და სხვა მოწვეული სტუმრები დაესწრნენ. ღონისძიება სსიპ ახალგაზრდობის სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა.

13 ნოემბერი 2023 წ.

- ახალგაზრდობის რეგიონული ცენტრისა და საქართველოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტოს თანამშრომლობით ახალგაზრდული კონფერენცია - „ინოვაცია და მეწარმეობა - ხვალინდელი ლიდერები“ ფარგლებში პანელურ შეხვედრაში მონაწილეობა მიიღო.

22 ნოემბერი 2023 წ.

- მონაწილეობა მიიღო საერთაშორისო ახალგაზრდულ ფორუმში - „დიალოგი 2023".

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო
ტელ: +995(0) 32 228 54 82

9. საერთაშორისო ორგანიზაციებთან და სამოქალაქო საზოგადოებასთან ურთიერთობა

17 იანვარი 2023წ.

- სამუშაო შეხვედრა, ხელისუფლებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან ერთად, „აჭარის რეგიონული საზოგადოებრივი ტრანსპორტის გენერალური გეგმისა და ინსტიტუციონალური მოდელის " განხილვასთან დაკავშირებით. ორ სესიად მიმდინარე ღონისძიებაზე აჭარის რეგიონული საზოგადოებრივი ტრანსპორტის გენერალური სქემა და საზოგადოებრივი ტრანსპორტის ინსტიტუციური მოდელი იქნა წარდგენილი. შემუშავებული დოკუმენტები, მომრავლებული სატრანსპორტო საშუალებების ფონზე, სატრანსპორტო კოლაფსისა და საცობების თავიდან აცილებას ისახავს მიზნად.

20 იანვარი 2023 წ.

- სამუშაო შეხვედრა „საქართველოში აკვაკულტურის განვითარების პერპექტივებთან" დაკავშირებით. ღონისძიება „საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრის" მხარდაჭერით, პროექტის - „სამოქალაქო საზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის" ფარგლებში გაიმართა. პროექტს, ევროკავშირის და კონრად ადენაუერის ფონდის დაფინანსებით, ახორციელებს კონსორციუმი კონრად ადენაუერის ფონდის (KAS) ხელმძღვანელობით შემდეგ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ერთად: საქართველოს სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრი (CSRDG), სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი (CSI), კონსულტაციისა და ტრენინგის ცენტრი (CTC), განათლების განვითარების და დასაქმების ცენტრი (EDEC) და ევროპული პოლიტიკის ინსტიტუტი (IEP).

17 თებერვალი 2023 წ.

- აჭარაში ტყის მდგრადი მართვის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებით გამართულ ღონისძიებას დაესწრო. პროექტი „ტყის მდგრადი მართვა აჭარაში" დაფინანსებულია გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მიერ, ხორციელდება გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების საკრედიტო ბანკის (KfW) მხარდაჭერით. პროექტის ბიუჯეტი შეადგენს 7,4 მლნ ევროს. აღნიშნული პროექტი ხელს შეუწყობს აჭარის სატყეო სააგენტოს ტყის მართვის სრულყოფილ ორგანოდ გარდაქმნას, რომელიც განახორციელებს ტყის მდგრადი მართვის სრულ ციკლს, მათ შორის ტყის მოვლა-აღდგენას, კონსერვაციული ღონისძიებების დანერგვას, კლიმატური ცვლილებების მიმართ ტყის მდგრადობის გაძლიერებას, ტყით სარგებლობასა და საშეშე-სამასალე მერქნით მოსახლეობის უზრუნველყოფას.

24 თებერვალი 2023 წ.

- აჭარის უმაღლესი საბჭოსა და ვესტმინსტერის დემოკრატიის ფონდის (WFD) ინიციატივით, აჭარის რეგიონული საზოგადოებრივი ტრანსპორტის გენერალური სქემისა და ინსტიტუციონალური მოდელის განახლებული სამუშაო ვერსიის განხილვის მიზნით, მორიგი სამუშაო შეხვედრას დაესწრო. კომპანია STS-ის ექსპერტების მიერ განახლებული აჭარის რეგიონული საზოგადოებრივი ტრანსპორტის გენერალური სქემისა და ინსტიტუციონალური მოდელის სამუშაო ვერსია, რამდენიმე ეტაპს მოიცავს და ქვეყანაში ამ მიმართულებით ერთიანი სისტემის ჩამოყალიბებას ითვალისწინებს, რაც შესაბამის საკანონმდებლო ცვლილებებშიც აისახება.

07 ივლისი 2023 წ.

- სამედიცინო ტურიზმის, ტექნოლოგიებისა და აღჭურვილობის მე-4 საერთაშორისო გამოფენა - „Expo Med Batumi – 2023" დაესწრო. მსგავსი გამოფენები ერთ სივრცეში ინოვაციების, ახალი სერვისების გაცნობის, ახალი ბიზნესკონტაქტების მოძიების ერთ-ერთი საუკეთესო გზაა და ხელს უწყობს სამედიცინო ტურიზმის წარმატებით განვითარებას ჩვენს ქვეყანასა და რეგიონში. კომპანია „GEONET EXPO-ს" მიერ ორგანიზებულ გამოფენაზე ამჯერადაც რამდენიმე ათეული ადგილობრივი, საერთაშორისო სამედიცინო დაწესებულება და ბიზნესკომპანიაა წარმოდგენილი.

07 სექტემბერი 2023 წ.

- ბათუმში ,,მუნიციპალიტეტების როლი ევროპის სამეზობლო პოლიტიკის განხორციელებაში" ორდღიანი კონფერენციის გახსნს დაესწრო. კონფერენცია აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ - თორნიკე რიჟვაძემ, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილემ - მზია გიორგობიანმა, ქალაქ ბათუმის მერმა - არჩილ ჩიქოვანმა, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის (ათეა) ვიცე-პრეზიდენტმა - ზურაბ აბაშიძემ და (GZ/ECR) რადლოს მუნიციპალიტეტის ვიცე-მერმა - პაველ ბრანდამ გახსნეს.

08 სექტემბერი 2023 წ.

- სამშენებლო მასალების, ტექნოლოგიებისა და უძრავი ქონების მე-12 საერთაშორისო გამოფენა - „Batumi Build -2023-ის" გახსნის საზეიმო ღონისძიებას დაესწრო. გამოფენის მიზანი სამშენებლო ბიზნესის წარმომადგენლების ერთ სივრცეში გაერთიანება, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების შესახებ ინფორმაციის გაცვლა, ბიზნესკონტაქტების მოძიება-დამყარებაა.

06 ოქტომბერი 2023 წ.

- აგროსასურსათო პროდუქციისა და ახალი ტექნოლოგიების მე-11 საერთაშორისო გამოფენა - "AGRO BATUMI 2023"ის გახსნას დაესწრო. ,,GEONET EXPO-ს" მიერ ორგანიზებულ გამოფენაზე ათეულობით ქართული და უცხოური კომპანიის მიერ წარმოებული სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა, ინვენტარი, სასუქები, მცენარეთა დაცვის საშუალებები, მეცხოველეობისა და სხვა პროდუქციაა წარმოდგენილი. ორდღიანი გამოფენა, აგრობიზნესმენებს ინოვაციური ტექნოლოგების გაცნობის, საკუთარი პროდუქციის რეკლამირებისა და ახალი საქმიანი ურთიერთობების წამოწყების შესაძლებლობებს აძლევს.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო
ტელ: +995(0) 32 228 54 82

10. საერთაშორისო ურთიერთობები

17-20 მარტი 2023 წ.
(გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ბრანდერბურგის მხარის ქალაქი პოსტდამი).

- გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ვიზიტის ფარგლებში ბრანდენბურგის მიწის პარლამენტის პრეზიდენტთან ულრიკე ლიდკემთან შეხვედრა გამართა. მონაწილეობა მიიღო ბრანდენბურგის ლანდტაგისა და პოლონეთის ქვემო სილეზიის სავოევოდოს სეიმიკის წარმომადგენლებთან, სამმხრივ კონფერენციაში.

26-30 ივნისი 2023 წ.
(ესპანეთის სამეფოს კატალონიის რეგიონი).

- ესპანეთში, კატალონიაში, მონაწილეობა მიიღო ევროპის რეგიონთა ასამბლეის (ერა) სიმპოზიუმზე, რომელშიც ევროპის 140 რეგიონის წარმომადგენლები მონაწილეობდა. აირჩიეს ასამბლეის ახალი პრეზიდენტი - ალბერტ კასტელანოს მადუელი. სიმპოზიუმზე, არჩევნების პარალელურად, განიხილეს საერთო გამოწვევები, შესაძლებლობები და განვსაზღვრეს ერას პრიორიტეტები.

20-25 ივლისი 2023წ.
(ბულგარეთი, ქალაქი ბურგასი).

- დაესწრო „Blue Summit and Innovation" პირველ სამიტს. მისი ძირითად მიზანი მდგომარეობს შავი ზღვის რეგიონში კვლევების, ინოვაციებისა და მეწარმეობის გაძლიერებაში, რათა ერთობლივად განავითარონ გზა შესაბამისის სპეციალიზაციისათვის, „ლურჯი" ინოვაციებისა და შავი ზღვის აუზში მდგრადი ეკონომიკის სწრაფი ზრდისთვის.

05-10 ნოემბერი 2023 წ.
(პორტუგალიის რესპუბლიკაში, აზორის ავტონომიური რესპუბლიკის კუნძული სან-მიგელი).

- დაესწრო ევროპის რეგიონთა ასამბლეას (AER) „ევროოდისეის ფორუმი"-ს ფარგლებში, გამართულ თაობათაშორისი რეგიონული დებატებს თემაზე - „2024 წლის ევროპის არჩევნები". ეს დებატები, 2024 წლის ევროპარლამენტის არჩევნების წინ, კარგი შესაძლებლობაა ევროპის წინაშე არსებული ძირითადი გამოწვევების განსახილველად, უფრო დემოკრატიული, ინკლუზიური და მდგრადი გარემოს შესაქმნელად.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის სამდივნო
ტელ: +995(0) 32 228 54 82

11. სოციალური ქსელი

https://www.facebook.com/GDTiteAroshidze/

- ✓ სოც ქსელით შემოსული შეტყობინებები

საანგარიშო პერიოდში ამომრჩევლების მიერ სოციალური ქსელის მეშვეობით შემოსულია 71 პირადი შეტყობინება, რაზეც კომპეტენციის ფარგლებში განხორციელდა შესაბამისი რეაგირება.

- ✓ გვერდის გამომწერების რაოდენობა: 3415

სოციალური ქსელის გამომწერების აუდიტორია



გამომწერთა ასაკი